



6429/3-19/21 2 25062021

6429/3-19/21

25-06-2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი რეგულირების მიზნით მიღებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონისა და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, გვაქვს გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკოლოგიური მდგომარეობის ეტაპობრივი გაუმჯობესების საფუძვლიანი მოლოდინი. მნიშვნელოვანია, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტიანი აღსრულება და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გატარება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, წერილობით მოგმართავთ შემდეგი კითხვებით:

1. აქვს თუ არა სამინისტროს განსაზღვრული პრიორიტეტული რეგიონებისა და იმ წარმოებების ჩამონათვალი, რომელი მიმართულებებითაც იგეგმება ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტური აღსრულების მიზნით ღონისძიებების განხორციელება?
2. გარემოსთვის მიყენებული ზიანის სრულყოფილად განსაზღვრისა და გამასწორებელი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგისთვის სამინისტროს მხრიდან იდენტიფიცირებულია თუ არა საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები?
3. აპირებს თუ არა სამინისტრო საერთაშორისო პარტნიორებთან ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შესახებ თანამშრომლობის გაძლიერებას/გაღრმავებას? აღნიშნულთან დაკავშირებით აქვს თუ არა სამინისტროს შემუშავებული კონკრეტული სამუშაო გეგმა?
4. მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის სწორი ფორმით მიწოდების მიზნით, იმართება თუ არა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები ბიზნესის წარმომადგენლებთან?

გთხოვთ, გაეცნოთ აღნიშნულ მომართვას და განახორციელოთ შესაბამისი რეაგირება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე დალაქიშვილი



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7510/01
19/07/2021

7510-01-2-202107192153



საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ალექსანდრე დალაქიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი ა/წ 25 ივნისის N6429/3-19/21 წერილით წარმოდგენილ კითხვებთან მიმართებით, რომლებიც ეხება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტიან აღსრულებასთან და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, გაცნობებთ შემდეგს:

1. აქვს თუ არა სამინისტროს განსაზღვრული პრიორიტეტული რეგიონებისა და იმ წარმოებების ჩამონათვალი, რომელი მიმართულებებითაც იგეგმება ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტური აღსრულების მიზნით ღონისძიებების განხორციელება?

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შემადგენელი ნაწილის „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომელთა მიზანია გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენცია/შერბილება/აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება, მათ შორის, განისაზღვრა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განმახორციელებელი საქმიანობის სუბიექტები ვალდებული არიან, 2021 წლის 1 ივნისიდან აწარმოონ დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგი. აღნიშნული საქმიანობები გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობებია, რომელთა მიმართ შესაბამისი ნებართვის გაცემა და ნებართვით დადგენილი პირობების კონტროლი სამინისტროს პრეროგატივაა,

აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ვალდებულებების მქონე საწარმოები და მათი განთავსების ადგილმდებარეობა იდენტიფიცირებულია.

რაც შეეხება პრიორიტეტულ მიმართულებებს, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შესამოწმებელი რეგულირების ობიექტების შერჩევას, 2019-2021 წლებისთვის, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი საწარმოების შემოწმება, რომელთა მნიშვნელოვანი წილი მოდის ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებზე.

შესამოწმებელი ობიექტების შერჩევას, ასევე გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულებით (№2059, 22.10.2020) დამტკიცებული 2020-2022 წლების ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხები, რომლებიც ასევე ითვალისწინებს სამრეწველო ემისიების ეტაპობრივ შემცირებას, კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების მექანიზმის გამოყენებით. ამ გეგმის შესაბამისად, ყოველწლიურად ინსპექტირებული იქნება ქ. რუსთავის 40-ზე მეტი გარემოს დამაბინძურებელი ობიექტი, მათგან ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების კომპლექსური შემოწმება განხორციელდება 15 ობიექტზე.

2. გარემოსთვის მიყენებული ზიანის სრულყოფილად განსაზღვრისა და გამასწორებელი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგისთვის სამინისტროს მხრიდან იდენტიფიცირებულია თუ არა საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსები?

„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის დადგენა და გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელების კონტროლი, ისევე, როგორც „ნარჩენების მართვის კოდექსიდან“ გამომდინარე, „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ აღსრულება, „ასოცირების შეთანხმებით“ განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე ახალი მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების კონტროლი სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაევა.

აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ინსპექტირების ინსტიტუციონალური გაძლიერების, კანონდასრულებისთვის საჭირო დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, შემუშავდა წინადადებები და შესაბამისი ფინანსური გაანგარიშება. აღნიშნული ითვალისწინებს:

- ინსპექტორების რაოდენობის გაზრდას და სტიმულირების მექანიზმების დანერგვას;
- რეგიონულ დონეზე ინსპექტირების სამსახურების გაძლიერებას;
- უკვე არსებული გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურის ბაზაზე კიდევ ერთი ახალი სამსახურის - სამრეწველო ემისიებისა და ნარჩენების კონტროლის სამმართველოს შექმნას.

როგორც მოსალოდნელი შედეგი, უზრუნველყოფილი იქნება:

- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის გამართული ფუნქციონირება, ზიანის პრევენცია, გარემოს აღდგენა, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების გზით;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულება, მათ შორის, გარემოში (ჰაერი, წყალი, ნიადაგი) სამრეწველო ემისიების და ნარჩენების შემცირება, ბიომრავალფეროვნებაზე ზეწოლის შემცირება;
- სწორი ეკოლოგიური მიდგომების ხელშეწყობა და კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა ბიზნესისთვის, დამატებითი სივრცე ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

3. აპირებს თუ არა სამინისტრო საერთაშორისო პარტნიორებთან ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შესახებ თანამშრომლობის გაძლიერებას /გაღრმავებას? აღნიშნულთან დაკავშირებით აქვს თუ არა სამინისტროს შემუშავებული კონკრეტული სამუშაო გეგმა?

სამინისტრო ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების მიზნით თანამშრომლობს არაერთ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან, მათ შორის, ევროკავშირთან, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან და გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასთან. აღნიშნული თანამშრომლობა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების მიმართულებით სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას, ჰაერის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებას და ტრანსპორტის სექტორიდან გაფრქვევების შემცირებას. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ახალი პროექტების დასაფინანსებლად, რომლებშიც ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებები ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენენ. კერძოდ, იგეგმება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგურების შექმნა, მოდელირებისა და პროგნოზირების სისტემის შექმნა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავება, ჰაერის ხარისხის ლაბორატორიის შექმნა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალის გაუმჯობესება და ტრანსპორტის ემისიის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კომუნიკაციით, მაღალი დონის ვიზიტების ფარგლებში, სამინისტრო ასევე ცდილობს გააღრმავოს თანამშრომლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა იტალია, ავსტრია, შვეიცარია, ესტონეთი და ლატვია.


4. მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის სწორი ფორმით მიწოდების მიზნით, იმართება თუ არა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები ბიზნესის წარმომადგენლებთან?

სამინისტრომ გამართა არაერთი შეხვედრა დაინტერესებული პირებისთვის (ძირითადად, კერძო კომპანიები) „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე, ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და მეწარმეთა ასოციაციის ჩართულობით და მათ გარეშე. ამავდროულად, სამინისტროს ექსპერტებს მუდმივ რეჟიმში აქვთ ინდივიდუალური კომუნიკაცია და კონსულტაციები სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლებთან,

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვის მიმართულებით არსებულ საჭიროებებთან დაკავშირებით. ამასთან, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის სწორი ფორმით მიწოდების მიზნით, სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, წლის ბოლომდე, შემუშავდება მოკლევადიანი სასწავლო კურსი, რომლის გავლაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება. მიმდინარე წელს ასევე დაგეგმილია საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება კერძო და საჯარო სექტორის წამომადგენლებისთვის.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე

